ლალი ზაქარაძე

კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული დაფუძნების საკითხისათვის

I. შესავალი

კავკასია, როგორც გეოგრაფიული და კულტურული სივრცე, ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა იმ რეგიონს, სადაც განსხვავებული რელიგიური, ფილოსოფიური თუ ინტელექტუალური ტრადიციები თანაარსებობდა და დიალოგის რეჟიმში ვითარდებოდა. სამეცნიერო და ენციკლოპედიურ ნაშრომებში ცნება „კავკასიურის“ მრავალმხრივი კონტექსტებია დამუშავებული - კავკასია, კავკასიელი ხალხი, კავკასიური ენები, კავკასიური რელიგიები და კავკასიური კულტურა და ა.შ. გაანალიზებულია კავკასიის და კავკასიური კულტურის გეოგრაფიული, პოლიტიკური, ისტორიული, ანთროპოლოგიური, ეთნოკულტურული, ლინგვისტური თუ სხვ. ასპექტები, მაგრამ არ გვხვდება „კავკასიური ფილოსოფიის“ ცნება. შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიის ისტორიაში „კავკასიური ფილოსოფიის“ ცნება დღემდე არ დამუშავებულა, არც მისი კონტურები ჩამოყალიბებულა და არც საკვლევი თემატიკა გამოკვეთილა. შესაბამისად, **კავკასიური ფილოსოფია,** როგორც ახალი ისტორიულ-ფილოსოფიური პარადიგმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებაში სიახლეს წარმოადგენს. მისი თეორიული დაფუძნების საკითხიც კვლევის ახალ პერსპექტივად და ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის ხელახალი გააზრებისკენ მიმართული ინტელექტუალური ძალისხმევის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული დაფუძნების შესაძლებლობის თანმიმდევრულ ანალიზს, მისი კონცეპტუალური ჩარჩოს და ისტორიული წინაპირობების განსაზღვრა-ჩამოყალიბებას. ეს საკითხი კითხვების მთელ რიგს წარმოშობს: ასე მაგალითად, შესაძლებელია თუ არა კავკასიური ფილოსოფიის, როგორც ისტორიულად და კულტურულად განსაზღვრული ფილოსოფიური ტოპოსის განსაზღვრა? რა ფორმებით და მეშვეობით ხდებოდა ფილოსოფიური იდეების ჩამოყალიბება და განვითარება კავკასიაში? რა თავისებურებებით ხასიათდება ნაციონალური ფილოსოფიის მოდელები კავკასიაში, რა არის მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები? რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ორი ფილოსოფიური კონცეპტი - „ფილოსოფია კავკასიაში“ და „კავკასიური ფილოსოფია“?

კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული დაფუძნების შესაძლებლობათა კვლევა ამ კითხვებზე პასუხების ძიების გზაა. ამ პროცესში მივიწყებული ფილოსოფიური იდეებისა და ტენდენციების რეაქტუალიზება ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი ახალი გამოწვევაა.

ეს საკითხი სცილდება მარტოოდენ ფილოსოფიური და ინტელექტუალური ტრადიციების თავისებურებების გამოკვეთას და მრავალმხრივ

არის აქტუალური. ვფიქრობთ, რომ (1.) ეს საკითხი თანამედროვე სამყაროში იდენტობის კრიზისისა და ახალი იდენტობის ძიების პროცესს უკავშირდება, რადგან ინტელექტუალური თვითგამორკვევის საკითხი ეროვნული, კულტურული და ფილოსოფიური იდენტობის გარკვევას გულისხმობს. ისტორიული ფესვების ფილოსოფიური გააზრება კი ჩვენს რეგიონს ინტელექტუალური თვითდამკვიდრების და თვითცნობიერების გაღრმავების პროცესში ეხმარება. ამ კონტექსტში ფილოსოფიის ისტორიული მოდელების გადააზრება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდოლოგიად გვესახება; (2.) კავკასიური ფილოსოფია მისი პოლიტიკური კონტექსტითაც შეიძლება კვლევის პერსპექტიული მიმართულება აღმოჩნდეს. კავკასიური ფილოსოფიის კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიულ-ინტელექტუალური და კულტურული განზომილებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკურ კონტექსტი, რომელიც აზროვნების ფორმებს, ძალაუფლებრივ პრაქტიკებს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნარატივებს, სახელმწიფოებრივ იდეებს, კოლონიურ და პოსტკოლონიურ დისკურსებს და რეგიონულ ურთიერთობებს უკავშირდება. ამდენად, კავკასიური ფილოსოფიის ცნების ისტორიული კონსტრუირება გვაძლევს შესაძლებლობას, ვაჩვენოთ, თუ რა გავლენას ახდენდა ფილოსოფია სოციალურ-პოლიტიკურ გარდაქმნებზე და როგორ მონაწილეობდა საზოგადოებრივი თვითშეგნების ფორმირებაში კავკასიაში.

ისტორიულად კავკასია ყოველთვის იყო და რჩება ევროპის, აზიის და ახლო აღმოსავლეთის მთავარ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინად; იმპერიული, სავაჭრო ინტერესების, ეთნოკონფლიქტებისა და პოსტკოლონიური პოლიტიკური იდენტობის (პროთურქული, პრორუსული, პროდასავლური) ძიების სივრცედ, ახალი იმპერიალისტური ინტერესების (რუსეთი, თურქეთი, დასავლეთი, ნატო, ირანი) სამიზნე. დღესდღეობით კავკასიაში არ არსებობს სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პლატფორმები, რომელიც შესაძლებელს გახდის სამხრეთ კავკასიის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და ჩრდილოეთ კავკასიის (რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკები) თანამშრომლობას. თუმცა კი, არსებობს ცალკეული რეგიონული ინიციატივები და ეკონომიკური კავშირები, რაც რეგიონის პოტენციურ შესაძლებლობებს დაგვანახებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის სამივე ქვეყანა ცდილობს საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს შეუსაბამოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები. ერთიანი ეკონომიკური პლატფორმის ჩამოყალიბებას კი, ამავდროულად, ხელს უშლის კავკასის რეგიონში გაყინული კონფლიქტები. მიუხედავად პოლიტიკური სირთულეებისა, კონკრეტული ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების საფუძველზე, რეგიონში არსებობს სატრანზიტო და ენერგეტიკული თანამშრომლობის პერსპექტივები, რაც შეიძლება ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმის საფუძვლად იქცეს, რომლის რეალიზება დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებასა და არსებული კონფლიქტების დარეგულირებაზე.

საკითხის ანალიზის თანმიმდევრულობისთვის უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების მოხმობა, მათზე ფილოსოფიური რეფლექსია და პოლიტიკისთვის ფილოსოფიური კატეგორიების ქმედითობა საკაცობრიო ისტორიისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ფილოსოფიური კატეგორიები (თავისუფლება, სამართლიანობა, ძალაუფლება, ბოროტება, ღირსება, ნება, სუვერენიტეტი, ხალხი, ზნეობა, ისტორია და სხვ.) რეალურ პოლიტიკაში აბსტრაქტული იდეების სახით არ რჩება, არამედ პოლიტიკურ პროცესებში, გადაწყვეტილებებსა და მათ შედეგებში აისახება. ფილოსოფიური კატეგორიები ანალიზის, შეფასების და ლეგიტიმაციის ჩარჩოს აყალიბებს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების დასაბუთებას უზრუნველყოფს, მათ კრიტიკას ახორციელებს ან მის შეცდომებსა და წინააღმდეგობებს წარმოაჩენს. ასეა, მაგალითად, როცა ვსვამთ კითხვას - შეესაბამება თუ არა არსებული პოლიტიკურ-სოციალური წყობა სამართლიანობის იდეას? ამგვარ კითხვებზე პასუხებში ფილოსოფიური კატეგორიები პრაქტიკულ მექანიზმებად, ინსტიტუციური წესრიგების პრინციპებად, კრიტიკის და საზოგადოების/სამყაროს გარდამქმნელ ინსტრუმენტებად იქცევიან ხოლმე. ასე მოქმედებს აბსტრაქტული იდეები რეალობაში, სწორედ ამგვარ ძიებებში ჩანს ფილოსოფიური რეფლექსიის ქმედითი ხასიათი.

კავკასიური ფილოსოფიის პოლიტიკური კონტექსტის ანალიზისას, ცხადია, მის თანამედროვე განზომილებას ვგულისხმობთ. ის ხელს შეუწყობს წარმატებულ პოლიტიკურ და კულტურულ დიალოგს კავკასიაში, რეგიონში არსებული პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ სხვა ტიპის სირთულეების გადალახვას, დიალოგის, ერთობისა და მშვიდობის შენარჩუნებას. ასე რომ, კავკასიური ფილოსოფიის იდეას პოზიტიური როლის შესრულება შეუძლია ამ საქმეში. „მშვიდობიანი კავკასია სანუკვარი ოცნება იყო არაერთი დიდი კავკასიელი მოაზროვნისა (ილია ჭავჭავაძისა და სხვ.). კავკასიური სახლის ერთობისა და მშვიდობის გარეშე ძალიან რთული იქნება ამ რეგიონის ხალხთა თანაცხოვრება“ (ირემაძე, 2020:100). მარადიული მშვიდობის დამყარება კი ის იდეალი უნდა იყოს, რომლისკენაც მუდამ უნდა მიისწრაფოდეს განათლებული კაცობრიობა. ეს მიზანი თანამედროვე სამყაროს მამოძრავებელ ფუნდამენტურ ღირებულებად უნდა იქცეს! ამ მიზნით ყველა ინტელექტუალური რესურსი უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან დღეს კიდევ უფრო ცხადად ვხედავთ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, იმანუელ კანტის სანუკვარი პროექტის – „მარადიული მშვიდობის“ - მიღწევის და განხორციელების სირთულეს, რომ „მარადიული მშვიდობა [...] ცარიელი იდეა კი არ არის, არამედ ამოცანაა, რომლიც თანდათანობითი განხორციელების გზით, მუდმივად უახლოვდება საკუთარ მიზანს (იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროის მონაკვეთები, რომლებშიც ასეთი წინსვლა მოხდება, უფრო და უფრო შემცირდება)“ (კანტი, 2020:165).

ასე რომ, კავკასიური ფილოსოფია მშვიდობიანი კავკასიისთვის წარმატებული პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთ ნაყოფიერ პლატფორმად შეგვიძლია მოვიაზროთ. კავკასიელ ხალხთა ეთნიკური მრავალფეროვნება, იმპერიული მემკვიდრეობა, პოსტ-საბჭოთა რეალობა ქმნის უნიკალურ

კონტექსტს მრავალი ფილოსოფიური საკითხის (იდენტობა, სამართლიანობა, ძალაუფლება, თავისუფლება, ავტონომია, ნაციონალიზმის და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის კოლექტიური მეხსიერება, ისტორიის ინტერპრეტაცია და სხვ.) გასაანალიზებლად. ამ საკითხთა შესახებ თანამედროვე დისკურსები რეგიონის მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის არსებით მნიშვნელობას იძენს და სამომავლო კვლევით პერსპექტივებსაც შეუწყობს ხელს.

II. კავკასიური ფილოსოფიის დაფუძნების პრობლემა

კავკასიური ფილოსოფიის დაფუძნების საკითხი თეორიულ და ინსტიტუციურ სიახლეებს უკავშირდება. კავკასიური ფილოსოფიის თეორიული კარკასი და მისი მეთოდოლოგიური დაფუძნების საკითხები დაწვრილებით მოცემულია პროფ. თენგიზ ირემაძის შემდეგ ნაშრომებში:

1. ირემაძე, თ. (2014). პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში. სერიაში: აღმოსავლეთი და დასავლეთი - კულტურათა დიალოგი, ტ. 3, თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“.

2. ირემაძე, თ. (2019). შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად. თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“.

3. ირემაძე, თ. (2020). ახალი დროის ქართული ფილოსოფია. სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად. თბილისი: გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“.

ამ ნაშრომებში განვითარებულმა ახალმა იდეებმა და თეზისებმა ასახვა პოვა ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის სამეცნიერო გუნდის (პროფ. უდო რაინჰოლდ იეკი, პროფ. ლალი ზაქარაძე) ბოლოდროინდელ სამეცნიერო ინიციატივებსა და გამოკვლევებში. შეიძლება ითქვას, რომ კავკასიური ფილოსოფიის საკითხი თანდათან იძენს როგორც აკადემიურ, ისე ინსტიტუციურ სიმყარეს. ამის შესახებ საგანგებო მსჯელობაა პროფ. ირემაძის საენციკლოპედიო სტატიაში „კავკასიური ფილოსოფია“ (ირემაძე, 2021).

საკითხის თანმიმდევრული ანალიზისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიური ფილოსოფიის მეთოდოლოგიური წანამძღვრები და საფუძვლები პირველად წარმოდგენილი იქნა პროფ. თ. ირემაძის ერთ-ერთ ადრეულ მონოგრაფიაში - „ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზაგასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები“ (თბ., 2013 წ.). წინამდებარე გამოკვლევა ეხება ფილოსოფიის ძველ და ახალ კონცეპტებს, ინტერკულტურული ფილოსოფიის კვლევით პერსპექტივებს, რომელიც თავისებურად უკავშირებს ერთმანეთს ფილოსოფიის სისტემურ და ისტორიულ მეთოდოლოგიას. ამავე კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. ირემაძის მიერ 2013 წლის 22-24 ოქტომბერს ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე („პითაგორული ცოდნის ფორმები და ტრანსფორმაციები: ასკეზა - რელიგია - მეცნიერება») წაკითხული მოხსენება - „The Pythagorean Doctrine in the Caucasus“ („პითაგორას მოძღვრება კავკასიაში“). ამ მოხსენებაში გამოიკვეთა ბერძენი

ფილოსოფოსის, პითაგორას მოძღრების როლი და მნიშვნელობა ახალ ფილოსოფიისისტორიულ, კერძოდ, კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში (Iremadze, 2016: 411-422.). ამავე მოხსენების ძირითადი მიგნებები ვრცელი სახით დაიბეჭდა ქართულ ენაზეც საერთაშორისო სამეცნიერო სერიაში - „აღმოსავლეთი და დასავლეთი - კულტურათა დიალოგი“, ტ. 3: „პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში“ (ირემაძე, 2014).

ამ ახალი სამეცნიერო მიმართულების დამუშავება და კვლევა ინსტიტუციურად საფუძვლად დაედო ახალი საქართველოს უნივერსიტეტში კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის იდეას, რომელიც 2014 წლიდან არსებობს. არქივში დაარსდა კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის კავკასიური ფილოსოფიის განყოფილება, ხოლო ამავე უნივერსიტეტის ქრისტიანული ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამაზე იკითხება სალექციო კურსი - „კავკასიური ფილოსოფია“.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალურ ტრადიციებს კავკასიაში აკლია ინსტიტუციური მეხსიერება. ფილოსოფიური სისტემები არ არის გამყარებული მდგრად ინსტიტუციურ საფუძვლებზე, რომლებიც იკვლევენ და აგრძელებენ კიდეც უკვე არსებულ ტრადიციებს და მას თაობიდან თაობას გადასცემენ. თუკი ფილოსოფიის [მათ შორის ქართული ფილოსოფიის] განვითარების ისტორიას გადავავლებთ თვალს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სკოლები, არქივები და მათში შემონახული დოკუმენტაცია ინახავს და ავითარებს ინტელექტუალურ ისტორიას, ან, პირიქით, ავიწროვებს და წყვეტს ისტორიულ მეხსიერებას. ასე რომ, კავკასიაში ინტელექტუალური აზროვნების კვლევის სტაბილური, ინსტიტუციური მხარდაჭერა, ისტორიული მემკვიდრეობის კვლევების გაფართოება-გაგრძელება განვითარებას საჭიროებს.

კავკასიური ფილოსოფიის ახალი კვლევითი პერსპექტივები თავად ჩვენ დამუშავებული გვაქვს შემდეგ სამეცნიერო მოხსენებებში: ლ. ზაქარაძე - (ა). „დავითქართულ ფილოსოფიურ ისტორიოგრაფიაში“ (2019 წლის 11 ოქტომბერი, საერთაშორისო კონფერენცია - „ბიზანტინოლოგია საქართველოში – 5“, ბსუ). (ბ). „კავკასიური ფილოსოფია, როგორც ინტერკულტურული ფილოსოფიის ერთ-ერთი ახალი პარადიგმა“ (2022 წლის 3 დეკემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“ (ბათუმი). (გ). „თანამედროვე ქართული ფილოსოფია: კვლევის მეთოდები და პერსპექტივები“ (2024, 18-20 ოქტომბერი, ბათუმი, სართაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ინტერდისციპლინური კვლევების ახალი ჰორიზონტები - II“. ორგანიზატორები: ბსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და აკადემიური კულტურის გავრცელების კვლევითი ცენტრი“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის არ რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, ბულგარეთის ნეოფიტ რილსკის სახელობის სამხრეთ-დასავლეთის უნივერსიტეტი).

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ინიციატივები მიუთითებს იმაზე, რომ კავკასიური ფილოსოფის იდეა ვითარდება, ლოკალური, კულტურულ-

სააზროვნო სტადიიდან ფართო აკადემიურ დიალოგში განიხილება. კავკასიური ფილოსოფიის იდეის შესახებ დისკუსიებში გამოიკვეთა ინტერდისციპლინური დიალოგის ახალი შესაძლებლობები, კერძოდ, ისტორიის, თეოლოგიის, ეთნოლოგიის და ფილოსოფიის მომიჯნავე, ურთიერთგადამკვეთი თემატიკა, რომელიც ხელს შეუწყობს რიგი საკითხების რეაქტუალიზებას, მათ კლევას რეგიონულ ჭრილში, რაც ამ მეცნიერებათა განვითარების ახალ კვლევით ჰორიზონტებს ქმნის.

III. კავკასიური ფილოსოფიის განსაზღვრა და მისი მეთოდოლოგიური ჩარჩო

კავკასიური ფილოსოფიის, როგორც ახალი ფილოსოფიური მიმართულების ისტორიული დაფუძნების შესაძლებლობის კვლევა არ ნიშნავს იმას, რომ კავკასიაში ფილოსოფიური აზროვნება არ არსებობდა და ახლა ხდება მისი ფორმირება. კავკასიაში, განსაკუთრებით სომხეთსა და საქართველოში არსებობდა ფილოსოფიური აზროვნების მდიდარი ტრადიციები და ამ ტრადიციების გადააზრება დღეს არა მხოლოდ ქართული ფილოსოფიის, არამედ, ზოგადად, ფილოსოფიისისტორიული კვლევების ამოცანას წარმოადგენს. თუმცა კი, ფილოსოფიის მრავალფეროვანი დისკურსების სახით წარმოჩენა და არა ვიწრო ნაციონალისტური მოდელების განხილვა, მხოლოდ მაშინ ხდება სრულყოფილი, როცა ყველა რეგიონულ თუ ნაციონალურ ტრადიციას საკუთრივი ორიგინალური საწყისებით და თავისებურებებით გავიაზრებთ და, ამასთან, სისტემური კვლევის საგნად ვაქცევთ.

კავკასიური ფილოსოფიის ცნების „დაბადება“ და „სისტემური დამუშავება“ საქართველოს და ქართულ ფილოსოფიას უკავშირდება. აქ ხდება მისი ისტორიული და თეორიული ლეგიტიმაცია, კავკასიური ფილოსოფიის იდეის ქმედით სამუშაო ჰიპოთეზად ჩამოყალიბება (თ. ირემაძე).

ამ საკითხის ისტორიული დაფუძნება, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს განვასხვავოთ „ფილოსოფია კავკასიაში“ და „კავკასიური ფილოსოფია“. ერთი შეხედვით, ეს ორი ცნება ერთი და იგივე საგნის შესწავლას გულისხმობს, თუმცა კი, უნდა შევნიშნოთ, რომ მათ შორის განსხვავებაა. ფილოსოფია კავკასიაში გულისხმობს რეგიონში (სომხეთი, ისტორიული ალბანეთი/თანამედროვე აზერბაიჯანი, საქართველო, მცირე აზია) ფილოსოფიური აზროვნების წარმოშობის, მისი ძირების გარკვევას, ისტორიული პერიოდების თავისებურებების, ძირითადი სკოლებისა და მიმდინარეობების ანალიზს. ფილოსოფიის ისტორიის ეს ტრადიციული მოდელი ფილოსოფიური აზროვნების განსხვავებული ტრადიციების (ბერძნული, ბიზანტიური, არაბურ-ისლამური, რუსული და ა.შ.) გავლენების ფორმათა ანალიზს ეფუძნება და, როგორც ფილოსოფიის ისტორიული ტრადიციული მოდელი, ნაციონალური ფილოსოფიების სახით არსებობს. თუმცა კი, ნაციონალური ფილოსოფია დღეს ფილოსოფიის ერთადერთ მოდელად არ მიიჩნევა. ამ აზრის საფუძველმდებარე თეზისი/არგუმენტი ფილოსოფიის უნივერსალური ბუნებაა. ამიტომ ფილოსოფიის მხოლოდ ნაციონალური ნიშან-თვისებებით განსაზღვრა პირობითია, რადგან ფილოსოფია უნივერსალურია!

„კავკასიური ფილოსოფია“ კი ფილოსოფიის ისტორიის ახალი მეცნიერული პარადიგმა და ახალი კატეგორიაა, რომელიც კავკასიის რეგიონში არსებული ფილოსოფიური ტრადიციების შესწავლა-დახასიათებას ახდენს განსხვავებულ მიდგომით და მეთოდოლოგიით. ის აერთიანებს სხვადასხვა ეთნოსისა და კულტურების ინტელექტუალურ მემკვიდრეობას, რომლებიც ამ რეგიონში თანაარსებობდნენ და გავლენას ახდენდნენ ფილოსოფიური აზროვნების გენეზისზე (ირემაძე, 2021). საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნება მრავალმხრივი სააზროვნო პრაქტიკების სისტემაა. ფილოსოფიაში სულ უფრო აქტუალური ხდება განსხვავებული ფილოსოფიური ტრადიციების ევროპულ ფილოსოფიასთან მიმართების საკითხი. ის ეფუძნება კავკასიაში ფილოსოფიური აზროვნების ტრადიციების განვითარების ტენდენციების და თავისებურებების ანალიზს, ოღონდ სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფიური ურთიერთობების ანუ ფილოსოფიური დიალოგის ტრადიციებს კავკასიაში. მან უნდა გაანალიზოს ფილოსოფიური აზრის განვითარების საკუთრივი საწყისები კავკასიაში, გამოკვეთოს აზროვნების გამაერთიანებელი საწყისები, მოახდინოს საერთო ავტორების და პრობლემების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია, რაც გულისხმობს ფილოსოფიური დისკურსების საერთო პლატფორმებს, ფილოსოფიური პრობლემატიკის ათვისების გზებსა და სპეციფიკას და ამ გზით ფილოსოფიის საკვაძო თემების წარმოჩენას, რომლის საფუძველზე ახალი ფილოსოფიური პარადიგმა მყარ არგუმენტებს დაეფუძნება და კვლევის ახალ პესპექტივებს დასახავს.

მაშასადამე, კავკასიური ფილოსოფია წარმოადგენს ინტერკულტურული ფილოსოფიის ფორმას, სადაც სხვადასხვა კულტურული და ფილოსოფიური ტრადიციების თანაარსებობა, ამ ტრადიციათა ათვისება ქმნის უნიკალურ ინტელექტუალურ სივრცეს, რომელიც ძირითადად დაფუძნებული იყო რეგიონში ფესვგადგმულ ქრისტიანულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე, ენაში და ცნობიერებაში დამკვიდრებულ ინტერპრეტაციებზე, რომელთა მეშვეობით დასავლური და აღმოსავლური ფილოსოფიური ტრადიციები გარდაისახება იმგვარ ჰერმენევტიკულ პრაქტიკებად, რომელიც საკუთრივ კავკასიური აზროვნების ერთგვარ ინტელექტუალურ ფორმად ყალიბდება. ამდენად, კვლევის ამ ეტაპზე კავკასიური ფილოსოფია ქრისტიანული ფილოსოფიისა და ინტერკულტურული ფილოსოფიის ერთ-ერთ წარმატებულ მოდელად შეიძლება განვიხილოთ.

IV. კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული წინაპირობები

კავკასიის რეგიონში ინტელექტუალური აზროვნების ფორმები უძველესი დროიდან იღებს სათავეს: მითოლოგიური და კოსმოგონიური ნარატივები, ზნეობრივი სისტემები და სამართლის ადგილობრივი ფორმები ქმნიან ფილოსოფიური აზროვნებისთვის მოსამზადებელ სივრცეს. ქრისტიანული, ისლამური და სომხური გრიგორიანული ტრადიციების გავლენით იწყება სასულიერო და თეოლოგიური აზროვნების განვითარება, რომელიც არაერთ ფილოსოფიურ პრობლემას აანალიზებს: ყოფიერების არსი, ცოდნისა და რწმენის ურთიერთობა, სამართლიანობის იდეა და ისტორიის საზრისი, მიზანი და სხვ.

კავკასიელი ხალხების „ფილოსოფიურ აზროვნების თავდაპირველი კონტურები გვიანანტიკური და ბიზანტიური ფილოსოფიური მოძღვრებების საფუძველზე ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ კი სხვადასხვა ფილოსოფიური მიმდინარეობების რეცეფციისა და ტრასფორმაციის გზით დამოუკიდებელ ფილოსოფიურ ტრადიციად განვითარდა“ (ირემაძე, 2021). V-IX საუკუნეებში სომხურ ფილოსოფიაში ორი მიმდინარეობა იკვეთება: ერთი უკავშირდება სომხური ქრისტიანობის აპოლოგეტურ ტენდენციებს, ხოლო მეორე - ელინიზმის გავლენებს. V საუკუნის სომეხი მოაზროვნის ეზნიკე კოხბაცის ტექსტი „სექტების უარყოფა“ 1826 წ. სომხურ ენაზე დაიბეჭდა ვენეციაში, ხოლო ითარგმნა ფრანგულ (ორჯერ) და გერმანულ ენებზე (Чалоян, 1968: 48).

საქართველოში დავით აღმაშენებლის ერა, განსაკუთრებით კი იოანე პეტრიწის ნეოპლატონიზმი გამოირჩევა თეორიული აზროვნების სიღრმით. პეტრიწის თარგმანებსა და თხზულებებში გამოიკვეთა ფილოსოფიისა და თეოლოგიის ჰარმონიზაციის მცდელობა. სომხურ ტრადიციაში გრიგორ ნარეკაცისა და ანანია შირაკაცის ნაშრომები აყალიბებს ეთიკურ და მეტაფიზიკურ თეორიებს, რომლებიც ხშირად გამიჯნულია წმინდა თეოლოგიური დისკუსიებისგან. აზერბაიჯანული ინტელექტუალური სივრცე აგრეთვე მდიდარია როგორც ისლამური ნეოპლატონიზმის, ისე სუფიზმის ჰერმენევტიკის გავლენებით.

V. ფილოსოფიური დიალოგების ინტერკულტურული ბუნება

კავკასიური ფილოსოფია ვერ განიხილება ერთიანი ენობრივი და ნაციონალური სქემით. პირიქით, მისი ფორმირება ხდებოდა ირანულ, ბიზანტიურ, არაბულ და რუსულ ფილოსოფიურ ტრადიციებთან ინტენსიური დიალოგის რეჟიმში. ამიტომაც, კავკასიური ფილოსოფიის დაფუძნება მოითხოვს ამ დიალოგის, თეორიული ზეგავლენებისა და წინააღმდეგობების ისტორიულ-კრიტიკულ ანალიზს. კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული დაფუძნება არა მხოლოდ კონკრეტული ავტორების და ტექსტების შესწავლას, არამედ კულტურათა დიალოგების, სააზროვნო ტრადიციებისა გავლენების მრავალშრიან ანალიზს საჭიროებს. ამდენად, ის ინტერკულტურული ფილოსოფიის ერთ-ერთ მოდელად შეიძლება განვიხილოთ, რომლის თანახმადაც ფილოსოფიის ისტორია არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ევროპული ნარატივების შუქზე, არამედ თითოეული სააზროვნო ტრადიცია უნდა განიმარტოს დიდ გლობალურ კონტექსტში. ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პროკლე - გვიანანტიკური ხანის ბერძენი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსი, რომელიც არა მხოლოდ დასავლური, არამედ აღმოსავლური (არაბული), ქართული, სომხური, შესაბამისად, კავკასიური ფილოსოფიისთვის უაღრესად აქტუალური ავტორია. XX საუკუნის 90-იან წლებამდე დასავლეთში „პროკლეს ქართული რეცეფცია სრულიად უცნობი იყო ... ფილოსოფიის მხოლოდ ერთეულმა ისტორიკოსებმა თუ იცოდნენ ამ ტრადიციის შესახებ, მაგრამ ხელი არ მიუწვდებოდათ მასზე“ (იეკი, 2012:65). მრავალ ისტორიულ მიზეზთა შორის პროფ. იეკი „მსოფლიოს პოლიტიკურ დაყოფას“, კერძოდ, „აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფლიქტს“ ასახელებს (იეკი, 2012:

65), რაც ხელს უშლიდა დასავლურ მეცნიერებაში პროკლეს ქართული, ბიზანტიური და ლათინურენოვანი კომენტარების კომპარატივისტულ ანალიზს. კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში კი პროკლეს ფილოსოფის ინტერკულტურული კონტექსტი ქართული და სომხური ფილოსოფიური ურთიერთობების ისტორიაში წარმოჩნდება. ინტერკულტურული ფილოსოფია, რომელიც მიზნად ისახავს ფილოსოფიის კულტურული კონტექსტის გათვალისწინებას, თავადაც „ისტორიულ კონტექსტში ვითარდება, რაც მის ღირებულებას არ აკნინებს, არამედ გვეხმარება მის გაგებასა და თანამედროვე პოზიციის გაანალიზებაში“ (Kaltenbacher, 2014: 39).

ეს მოითხოვს ახალ მეთოდოლოგიურ პრაქტიკას, კერძოდ, ფილოსოფიის ინდივიდუალური და საკუთრივი ტრადიციიდან დიალოგის პროცესზე ორიენტირებას, კულტურის და აზროვნების ღიაობას. ინტერკულტურული ფილოსოფიის შემთხვევაში საქმე გვაქვს მცდელობასთან, რომ სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციის ფილოსოფოსები აქტიურად ჩაერთონ ერთმანეთთან დიალოგში, ხოლო ეს დიალოგი არა მხოლოდ ურთიერთპატივისცემას, არამედ სხვა ფილოსოფიური ტრადიციების და მიღწევების, განსხვავებული ინტერპრეტაციების აღიარებას, აზროვნების საერთო და განმასხვავებელი საწყისების შესწავლა-ანალიზს საჭიროებს.

ამ ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში ინტერკულტურული ფილოსოფია, შესაძლოა, სხვადასხვა მეთოდოლოგიას მიმართავს. ინტერკულტურული ფილოსოფია იწყება იმისგან, რომ ვაცნობიერებთ ფილოსოფიის კულტურულ კონტექსტს და მის მნიშვნელობას ფილოსოფიური თეორიებისა და პრაქტიკების განვითარებისათვის. აქედან გამომდინარეობს ამოცანა – სისტემატურად გავიაზროთ ფილოსოფიასა და მის კულტურულ კონტექსტს შორის ურთიერთობა. ინტერკულტურულობა კიდევ უფრო შორს უნდა წავიდეს და აღწეროს ისეთი კულტურათაშორისი კონტაქტი, რომელიც გამოხატავს ან იწვევს „სრულყოფილ ორმხრივობას, ურთიერთობაზე დაფუძნებულობასა და თანასწორობას“. თუკი ფილოსოფიები კულტურათა მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს, მაშინ ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ კულტურები ბუნებრივად მოცემული ან რეალური ერთეულები კი არ არიან, არამედ თავადაც განსაზღვრულ ფილოსოფიურ საფუძვლებზე არიან აგებული (Sweet, 2014: 2).

ვოლფგანგ კალტენბახერი ინტერკულტურული ფილოსოფიის ისტორიულ კონტექსტებზე ამახვილებს ყურადღებას და მიიჩნევს, რომ ის აფართოებს საკუთარ საზღვრებს და კომპეტენციას და გადაიქცევა ინტერკულტურულობის ფილოსოფიად (Kaltenbacher, 2014: 40).

თითოეულ ფილოსოფიურ ტრადიციას თავისი ისტორიული, კულტურულ-ინტელექტუალური ფესვები აქვს, თუმცა კი, ინტერკულტურულმა ფილოსოფიამ შეიძლება საკუთარი ფილოსოფიური ტრადიციის შეფასების ხედვა შეცვალოს (Kaltenbacher, 2014:40). უნდა ითქვას, რომ ევროცენტრიზმის კრიტიკამ დიდი ადგილი დაიკავა ინტერკულტურული ფილოსოფიის შესახებ პუბლიკაციებში. აღინიშნა, რომ დასავლურმა ფილოსოფიამ უნდა იპოვოს გზა სხვა ფილოსოფიური ტრადიციებისკენ და დაადგინოს მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავებები (იეკი. 2012:69). პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ რეცეფციის ისტორიიდან

დასავლურმა ფილოსოფიამ გარკვეული დასკვნები უნდა გამოიტანოს. უნდა გაჩნდეს სურვილი, განსხვავებული კულტურებიდან მომდინარე ფილოსოფია „უკეთ გაიცნოს, ვიდრე აქამდე, რადგან ევროპოცენტრიზმი არათუ მოძველდა, არამედ კვდება კიდეც [...] მომავალი მის მხარეს უკვე აღარ არის“ (იეკი, 2012: 69). სხვა ტრადიციის ათვისება-გადააზრების პროცესში რომ განსხვავებული ფილოსოფიური კონტექსტები საკუთარი სააზროვნო ტრადიციის ნაწილად იქცევა, ამის ნათელი დადასტურებაა იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მოღვაწეობა.

ინტერკულტურული ფილოსოფია მრავალმხრივ არის აქტუალური; განსაკუთრებულ აქტუალობას ის იმგვარ სამეცნიერო-კვლევით პროექ-ტებში იძენს, რომელიც იმ პრობლემატიკასა და მეთოდოლოგიას ეხება, თანამედროვე გლობალური აზროვნების კონტექსტში რომ არის მნიშვ-ნელოვანი; ის აფართოებს ადამიანთა მსოფლმხედველობას და ამ ჭრილში ახლებურად წარმოჩნდება და შეფასდება ფილოსოფიის, ფილოსოფიის ისტორიის, შედარებითი ფილოსოფიის, პოლიტიკური გლობალისტიკის და ა.შ. სხვადასხვა პრობლემა (ზაქარაძე, 2012: 422).

წინამდებარე სტატიაში - კვლევის ამ ეტაპზე - კავკასიური ფილო-სოფიის ისტორიული წინაპირობების განსაზღვრა ქართული და სომ-ხური ფილოსოფიის დიალოგს უკავშირდება შუა საუკუნეებსა და ახალ დროში. ამ პერიოდში გამოიკვეთა ის საერთო ავტორები, კავკასიური ფილოსოფიის სპეციფიკური ისტორიული თემატიკა, სისტემურ-ფი-ლოსოფიური პრობლემები, რომლებიც კავკასიური ფილოსოფიის სა-ფუძვლებს ქმნის, მის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს გამოკვეთს და სამომავლოდ ისტორიულ-ფილოსოფიურ კვლევებს შეუწყობს ხელს. ამგვარ ავტორებად საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ: პითაგორა, პლატონი, არისტოტელე, ანტიკური ხნის ნეოპლატონიზმი, კერძოდ, პროკლეს მოძღვრება, ქრისტიანული ნეოპლატონიზმი (ფსევდო-დიონისე არეოპგელი), ალექსანდრიული ნეოპლატონიზმი (ამონიუს ჰერმისი, დავით ანაღთი) და სხვ.

ზემოაღნიშნულ მეთოდოლოგიურ განაზრებებზე დაყრდნობით, ქარ-თულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობები შუა საუკუნეებსა და ახალ დროში კავკასიური ფილოსოფიის „ლეგიტიმურობის“ ყველაზე მყარ საფუძვლად ისახება (ირემაძე, 2013: 9). კვლევის ამ ეტაპზე „კავკასიური ფილოსოფიის“ ისტორიული საფუძვლები დოკუმენტირდება შუა საუ-კუნეებში არსებულ თანამშრომლობაში ქრისტიანული ფილოსოფიის სფეროში, რაც კარგად აისახა კიდეც (1.) იმ პერიოდის ქართულენოვანი ტექსტების თარგმანებსა და კომენტარებში სომხურ ენაზე, (2.) ახალი დროის ქართულ და სომხურ ფილოსოფიაში არსებულ სამეცნიერო-მთარგ-მნელობით ურთიერთობებში.

ყოველივე ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს, რომ „კავკასიური ფი-ლოსოფია“ თანამედროვე ფილოსოფიური მეცნიერების ხელოვნურ კონს-ტრუქციად კი არ აღიქმებოდეს, არამედ ამ ცნების კონცეპტუალიზაციის წინაპირობები, ისტორიული ფესვები ქართულ და სომხურ ფილოსოფიებს შორის არსებულ ურთიერთობებში დავინახოთ.

VI. პითაგორა, პროკლე და დავით უძლეველი

კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული ლეგიტიმაციის ერთ-ერთი საყრდენი რგოლი არის **იოანე პეტრიწის** ფილოსოფიური მემკვიდრეობა, რომელმაც არა მხოლოდ ქართული ორიგინალური ფილოსოფიური აზროვნება განავითარა, არამედ დიდი გავლენა მოახდინა კავკასიურ ინტელექტუალურ სივრცეზე. იოანე პეტრიწი იყო ანტიკური ფილოსოფიური ტრადიციის, პითაგორას, პლატონის და არისტოტელეს მესაიდუმლე, პროკლეს და ნემესიოსის ტექსტებით აღფრთოვანებული, პროკლეს კონგენიალური კომენტატორი და მთარგმნელი (იეკი, 2012: 58). იგი არ იყო მხოლოდ ქართული შუა საუკუნეებისთვის ბიძგის მიმცემი ფიგურა, არამედ შუა საუკუნეების და ახალი დროის კავკასიური ფილოსოფიური დიალოგის ერთ-ერთ არქიტექტორადაც გვევლინება.

პეტრიწის მიერ შესრულებული პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ ქართული თარგმანი და განმარტებითი კომენტარი (XI–XII სს.) ქართული ფილოსოფიის ისტორიაში რადიკალური გარდატეხაა. მისი მეშვეობით ქართული ფილოსოფიური აზროვნება გახდა თანაბარი პარტნიორი ბერძნული, სირიული და სომხური ინტელექტუალური ტრადიციებისა. თუმცა, ამ პროცესს რეგიონის კულტურულ-ფილოსოფიური ზეგავლენის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი გაგრძელება მოჰყვა.

VII. პეტრიწის რეცეფცია კავკასიაში

XIII საუკუნეში, 1248 წელს, სომეხმა ბერმა სვიმეონმა ფღინძაჰანეციმ/ ფღაძანქიმ ფღინძაჰანის მონასტერში (სომხ. „სპილენძის საბადო“) პეტრიწისეული თარგმანის საფუძველზე სომხურად თარგმნა პროკლეს „თეოლოგიის საწყისები“. ეს ფაქტი წარმოადგენს პირველ მნიშვნელოვან ფაქტს კავკასიურ ფილოსოფიაში, როდესაც ქართული ფილოსოფიური ტრადიცია ხდება ფილოსოფიური შუამავალი სომხურ კულტურულ სივრცესთან. აღნიშნული თარგმანი საფუძვლად დაედო სომხური ნეოპლატონიზმის განვითარებას: ოთხი საუკუნის შემდეგ, 1651 წელს, გარნისელმა ეპისკოპოსმა სვიმეონმა (ჯუღაეცი) დაწერა კომენტარები, რომლებიც სწორედ XIII საუკუნის სომხურ თარგმანს ემყარებოდა. მოგვიანებით, 1757 წელს, პროკლეს „თეოლოგიის საწყისების“ სომხური თარგმანი და მასზე მიძღვნილი კომენტარები ხელახლა იქნა თარგმნილი ქართულ ენაზე, მდივანბეგ იოანე ორბელიანის მიერ „სხვათა შემწეობითა“: „ახალი კავშირი ფილასოფოსის პროკლე დიადოხოსისავე და განმარტება, სომხურისაგან გადმოთარგმნილი მდივანბეგის იოანე ორბელიანისაგან სხვათა შემწეობითა“ (ტექსტი გამოიცა 1810 წლის 26 სექტემბერს პროფ. ალ. ცაგარელის მიერ (Марр, 1909: 61). XVIII საუკუნისათვის ქართულ ენაზე არსებობდა „თეოლოგიის საწყისების“ სულ მცირე ორი განსხვავებული ინტერპრეტაცია: (1). იოანე პეტრიწისეული თარგმანი და მისი კომენტარი, (2). სომხურ ინტელექტუალურ ტრადიციაზე დაფუძნებული ვერსია, რაც ქართულ აზროვნებაში პროკლეს ნეოპლატონიზმის რეცეფციის ისტორიას ქმნის. აკად. ნ. მარი ამ საკითხთან დაკავშირებით, 1909 წელს წერდა, რომ XVIII საუკუნისათვის საქართველოში დაივიწყეს ნეოპლატონიზმის მშობლიური ტრადიცია, მაგრამ „ისიც ხომ არ დაავიწყდათ, რომ თავად

სომხები აგრძელებდნენ ქართველი ფილოსოფოსის ტრადიციას, იყენებდნენ რა აღნიშნული ტექსტის ძველ სომხურ თარგმანს“ (Марр, 1909: 63). ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ქართულ-სომხური მთარგმნელობითი და ინტელექტუალური ურთიერთობები ურთიერთთანამშრომლობის, დიალოგის და ტექსტების შედარებითი ანალიზის პერსპექტივას უყრიდა საფუძველს, რაც, თავის მხრივ, კავკასიური ფილოსოფიის ახალი ფილოსოფიისისტორიული კონცეპტის ლეგიტიმაციის საფუძველს გვაძლევს.

პროკლეს ტექსტების ეს დინამიკა ცხადყოფს, რომ პროკლეს ფილოსოფია აქტუალურია კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში. „თეოლოგიის საწყისები“ კავკასიაში ცირკულირებს არა როგორც მხოლოდ ქართული ფილოსოფიისთვის მნიშვნელოვანი ტექსტი, არამედ როგორც ინტერკულტურული ტექსტი, რომელსაც კავკასიაში საფუძვლად უდევს იოანე პეტრიწის მიერ ჩამოყალიბებული თეორიული ენა.

აქვე ხაზგასმით შევნიშნავთ, რომ XX საუკუნის დასაწყისში, ნიკო მარი პირველი იყო, ვინც პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური მოდელი ნეოპლატონიზმის ფილოსოფიის ჭრილში დაინახა, პეტრიწის კომენტატორული საქმიანობა კი - სომხურ ფილოსოფიაში პროკლეს რეცეფციის დასაწყისად. მისი ნაშრომი „Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI–XII веков“ (1909 წ.) ფაქტობრივად ქმნის კავკასიური ფილოსოფიის ისტორიის წინარე მეცნიერებრულ-კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ადასტურებს ამ ტრადიციის უწყვეტობის (შუა საუკუნეებში, ახალი დროის აზროვნებაში, XX საუკუნესა და თანამედროვე ფილოსოფიაში) ინტელექტუალურ ფესვებს, პერსპექტივას. ნიკო მარის ეს ნაშრომი ინსპირაციის წყარო იყო შალვა ნუცუბიძისთვის, კერძოდ კი, მის ნაშრომში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, ტ. II (1958 წ.), იგი არაერთგზის მიმართავს ამ ტექსტს.

კავკასიური ფილოსოფიის ცნების შესახებ მეთოდოლოგიური განაზრებების ჭრილში, სადაც ვაჩვენეთ, რომ ამ ცნების შინაარსი, მისი მეთოდოლოგიური დაფუძნება პროფ. ირემაძის ტექსტებს უკავშირდება, უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო მარი (1864–1934 წწ.) გამორჩეული ფიგურაა კავკასიური ფილოსოფიის ისტორიის საწყისების ემპირიული კვლევის დაფუძნების, კერძოდ კი, მეცნიერების სისტემატიზაციის, ტექსტების დოკუმენტირების და ინტერპრეტაციის კონტექსტში. შთამბეჭდავია მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა, მისი როლი ქართული, სომხური, ბერძნული და სირიული ხელნაწერების კრიტიკული გამოცემების, აღწერა-დამუშავებისმომზადების საქმეში. მან ნათლად წარმოაჩინა პროკლე ფილოსოფიური ტექსტების გავრცელების რუკაზე კავკასია - საქართველო და სომხეთი. მან საფუძველი ჩაუყარა კვლევით მემკვიდრეობას, რომელიც საშუალებას იძლევა, XXI საუკუნეში კავკასიური ფილოსოფიის თეორია უკვე არა როგორც კულტურული იდეა, არამედ ისტორიულ-ფილოსოფიური კონსტრუქციის სახით წარმოვადგინოთ.

ეს ფაქტი, თავის მხრივ, ვფიქრობთ, ქმნის თეორიულ საფუძველს, რომ კავკასიური ფილოსოფია არა მხოლოდ ცნებად, არამედ მეცნიერულ დისციპლინადაც ჩამოყალიბდეს.

კავკასიური ფილოსოფიის ისტორიული დაფუძნების საკითხის კონტექსტში აქტუალურად გვესახება ხარანის მელქიტი ეპისკოპოსის, არაბულენოვანი ქრისტიანი მოაზროვნის, თეოდორე აბუკურას ტექსტების რეცეფციის ისტორია კავკასიაში, საქართველოსა და სომხეთში, მისი როლისა და ისტორიის გააზრება ქართულ შუა საუკუნეებში. ამ მიზნით პროფ. თ. ირემაძის ხელმძღვანელობით მომზადდა სადისერტაციო ნაშრომი და მონოგრაფია - ბესიკ მაშავა. თეოდორე აბუკურას ფილოსოფიური თეოლოგია, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2023 წ. ამ ნაშრომში დეტალურად გაანალიზებულია თეოდორე აბუკურას ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ-კულტურული ასპექტები და კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტი.

თეოდორე აბუკურა VIII–IX საუკუნეების ე.წ. ადრეაბასიდური ეპოქის (750-850 წწ.) ბიზანტიელი საეკლესიო მწერალი, ქრისტიანი ფილოსოფოსი და აპოლოგეტია. იგი მნიშვნელოვანი ფიგურაა ქრისტიანულ აზროვნებაში. აღსანიშნავია, რომ მისი ტექსტებით კავკასიის რეგიონში შემოდის პალესტინური ტრადიციის არაბულენოვანი ქრისტიანული აპოლოგეტიკა. მის სახელს უკავშირდება არაბულენოვანი ქრისტიანული მართლმადიდებლური ფილოსოფიური თეოლოგიის ჩამოყალიბება. თეოდორე აბუკურას ფილოსოფიურ-თეოლოგიური ანტიმონოფიზიტური, ანტიმაჰმადიანური და ანტინესტორიანული თხზულებები, ტრაქტატები და დიალოგები, XI–XII საუკუნეებში არსენ იყალთოელმა „დოგმატიკონში“ შეიტანა (მაშავა, 2023: 74). თეოდორე აბუკურას ტექსტების დოკუმენტირება კავკასიაში (სომხეთსა და საქართველოში) ამ უაღრესად საინტერესო ქრისტიანი მოაზროვნის საღვთისმეტყველო ფილოსოფიურ აზროვნებას, ქრისტიანული ფილოსოფიის მისეულ მეთოდოლოგიას, ღმერთის არსებობის რაციონალურ არგუმენტებს, „ბუნების თეოლოგიას“ ფილოსოფიური ცნებების თეოლოგიურ ინტერპრეტაციებს კავკასიური ფილოსოფიის დინამიკის ისტორიული კონტექსტების ანალიზისთვის აქტუალურს ხდის.

ახალ დროში ანტონ ბაგრატიონის (1720–1788 წწ.) ფილოსოფიურ-თეოლოგიური შემოქმედება, პედაგოგიური საქმიანობა და მისი მთარგმნელობითი სკოლა კიდევ უფრო მეტ შინაარსს სძენს „კავკასიური ფილოსოფიის“ იდეას. ახალი დროის სააზროვნო ვითარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ქართული და სომხური ფილოსოფიური აზროვნების დაახლოება, საეკლესიო განათლების მოდიფიცირება, რაც იმდროინდელი ევროპული ფილოსოფიის მრავალი პირდაპირი თუ ირიბი კონტაქტით იყო გაშუალებული ადგილობრივ ტრადიციებთან. ამ კონტექსტში ანტონის შემოქმედება და მისი სკოლა არა მხოლოდ ქართული ფილოსოფიის აღორძინების, არამედ ქართული და სომხური ფილოსოფიათა ჰერმენევტიკული დიალოგის სივრცედ წარმოჩნდა. „ეს მეტად საინტერესო პროცერსი“ და „ნაყოფიერი მეთოდოლოგიური მიდგომა“ მაშინაც კი არ კარგავს თავის მნიშვნელობას, როცა ანტონ პირველი „არცთუ უსაფუძვლოდ - საქართველოსა და სომხეთში პროკლე დიადოხოსის რეცეფციისა და ტრანსფორმაციის კონტექსტში - სომხურ თეორიულ აზროვნებასთან შედარებით „ქართული საფილოსოფიო სკოლის“ აშკარა უპირატესობაზე საუბრობს“ (ირემაძე, 2013: 9), აგრეთვე იხ.: https://encyclopedia.ge/ka/articles/32) .

ანტონ ბაგრატიონი (ანტონ I) ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი და კათოლიკოს-პატრიარქი, საქართველოს კულტურულ და ინტელექტუალურ ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი შემოქმედება აღმოსავლური ქრისტიანობის, მართლმადიდებლური თეოლოგიის და დასავლური აზროვნების დიალოგის შედეგად ჩამოყალიბდა. გარკვეულწილად, მის სახელს უკავშირდება ქართულ-სომხური და ქართულ-რუსული ფილოსოფიური ურთიერთობები ახალი დროის ქართულ აზროვნებაში. თუ შუა საუკუნეების მასშტაბურად მოაზროვნე დიდი ქართველი ღვთისმეტყველების ინტერესის საგანი ბერძენი და ბიზანტიელი ავტორების ტექსტები იყო. ანტონი ახალი დროის ქართულ აზროვნებაში ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ლათინურენოვანი დასავლეთის ინტელექტუალური მემკვიდრეობის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე მიუთითებს. მას იოანე პეტრიწის შემოქმედება, ასევე, „დიდი ალბერდის“ (ალბერტ დიდი) სქოლასტიკური ენა და სტილი (ასევე, ნემესიოს ემესელი, იოანე დამასკელი და სხვ.) - სასკოლო ფილოსოფიის კონტექსტში - ქრისტიანიზებული პლატონისა და არისტოტელეს გასაგებად სჭირდებოდა, ხოლო საკუთარ „ფილოსოფიურ სისტემას კი არისტოტელური აზროვნების ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის მეშვეობით აგებს და ავითარებს (ირემაძე, 2013: 42). არისტოტელეს „კატეგორიების“ თარგმანები ქართულ ენაზე სწორედ ანტონის და მისი სკოლის დამსახურებაა. აღსანიშნავია, რომ ანტონის სკოლაში ინტენსიურად შეისწავლიდნენ, თარგმნიდნენ, იკვლევდნენ არისტოტელეს მემკვიდრეობაში მანამდე „სრულიად გაუთვალისწინებელ სომხურ წყაროებს“ (ირემაძე, 2013: 45). ანტონის სკოლის წარმომადგენლებიდან უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებათ ფილიპე ყაითმაზაშვილს და დოსითეოზ ჩერქეზიშვილს, რადგან მათ მიერ ითარგმნა არისტოტელეს მრავალი ლოგიკური თხზულება და ამ ტექსტების კომენტარები სომხურ ენაზე.

ანტონი ახალი დროის ქართული აზროვნების ყველაზე საკვანძო ფიგურა, უდავოდ „ქართული კლასიკური ხანის ფილოსოფიის აღორძინებას ემასახურებოდა, და [...] ქართულ ნიადაგზე იდგა“ (ნუცუბიძე, 1958: 316), ხოლო მისი მეთოდოლოგია კი მეტწილად სქოლასტიკური იყო. მან ლოგიკის ბერძნული, სომხური და ლათინური ცნებითი აპარატი დაამუშავა ქართულად და შექმნა უაღრესად საყურადღებო ნაშრომი „კატიღორია სიმეტნეჲ“, სასწავლო სახელმძღვანელო, რომლის მიზანიც არისტოტელეს კატეგორიათმოძღვრების და ზოგადად ლოგიკის საკვანძო საკითხების განმარტებაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტექსტებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალი დროის ქართულ აზროვნებაში არისტოტელეს გაგებისათვის. ამ საქმეში ანტონი ამონიოს ერმისის ძველქართული თარგმანების, არისტოტელეს სომხური ინტერპრეტაციების და გერმანული სასკოლო ფილოსოფიის ინტელექტუალურ ტრადიციებს ეყრდნობოდა (ირემაძე, 2013: 48).

ანტონის მიერ წამოწყებული მთარგმნელობითი და სასემინარიო საქმიანობა მიზნად ისახავდა არა მხოლოდ ქართული ეკლესიის ინტელექტუალურ განახლებას, არამედ კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებასაც. ამ კონტექსტში ანტონის სკოლა გვევლინება ფილოსოფიური და

საღვთისმეტყველო ტექსტების სისტემურ პლატფორმად საქართველოსა და სომხეთს შორის. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ანტონ პირველის მიერ დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ-ფილოსოფიურ ტრადიციებს შორის დიალოგის საჭიროების გააზრება. ანტონმა თავისი მთავარი ნაშრომი „სპეკალი“ (1752 წ.), ვითარცა „ძვირფასი ქვების კრებული“, ერეკლე II-ს უძღვნა. მასში აშკარად იკითხება დასავლურ და აღმოსავლურ ტრადიციებთან დიალოგის ნიშნები. ანტონის, ვითარცა ახალი დროის მოაზროვნის ორიგინალობა იმაშიც ჩანს, რომ მან პეტრიწისა და ალბერტ დიდის ფილოსოფიური შეხედულებების გარკვეული დაკავშირება მოახდინა. ეს მიგნება წარმოადგენს რეფლექსიას აღმოსავლურ-დასავლურ ფილოსოფიურ ერთიანობაზე, რაც შემდგომში კავკასიური ფილოსოფიის იდეის ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება გამოდგეს. ეს იმასაც ამტკიცებს, რომ კავკასია არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ფილოსოფიური სივრცეა, სადაც განსხვავებული ინტელექტუალური ტრადიციები ერთიანდებიან ფილოსოფიური იდეების ჭეშმარიტების ძიებაში. ანტონი აშკარად არღვევს იმდროინდელი საარზროვნო ვითარების დოგმატურ ჩარჩოს და მიმართავს მეთოდოლოგიურ და ისტორიულ ფილოსოფიურ სტრატეგიას, რომელიც თავად ანტონის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სისტემის ორიგინალურობას ხაზს უსვამს და მის თეორიულ მიღწევებს კავკასიური ფილოსოფიის მთავარ თეორიულ დისკურსად აქცევს და ამით ფილოსოფიური ისტორიოგრაფიის ახალ პერსპექტივას იწყებს. პეტრიწი, ალბერტ დიდი, თომა აქვინელი, ლაიბნიცი, ქრისტიან ვოლფი და ა.შ. - აი, ამ მასშტაბური მოაზროვნეების დაკავშირება საერთო კავკასიური ცნობიერების სივრცეში ორიგინალური ინტერპრეტაციებისა და დამოუკიდებელი ფილოსოფიური ტრადიციის შემოქმედებითი განვითარების წინაპირობად იქცა.

VIII. კვლევის პერსპექტივა

კავკასიური ფილოსოფიის კვლევა ხელს შეუწყობს ამ რეგიონში არსებული ადგილობრივი ფილოსოფიური ტრადიციების ინტეგრაციის პროცესს საკაცობრიო ფილოსოფიური აზროვნების ისტორიულ ნარატივში. გარდა ამისა, ის მყარი საფუძველი გახდება თანამედროვე კავკასიური ფილოსოფიის საზღვრებში არსებული მიმართულებების, სკოლების, დარგებისა და ქვედარგების შემდგომი განვითარებისათვის. ამ პროცესს ასევე ხელს შეუწყობს კავკასიური ფილოსოფიის ტრადიციების რეცეფციისა და ტრანსფორმაციის ისტორიის ინტენსიური კვლევა ევროპულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ზაქარაძე, ლ. (2012). *ქართული ფილოსოფიის ახალი პერსპექტივები ინტერკულტურული აზროვნების ჭრილში.* კადმოსი, N 4. თბილისი. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“,

იეკი, უ. რ. (2012). *განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ.*გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ. თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი“.

იეკი, უ. რ. (2018). *ალექსანდრიის პროექტი და მისი შედეგები.* მუზეიონი როგორც ინტერკულტურული ცოდნის ცენტრი. თბილისი. გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“.

ირემაძე, თ. (2013). *ფილოსოფია ეპოქათა და კულტუყრათა გზაგასაყარზე.* ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევე. თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი“.

ირემაძე, თ. (2014). *პითაგორა კავკასიური ფილოსოფიის კონტექსტში.* სერიაში: აღმოსავლეთი და დასავლეთი - კულტურათა დიალოგი, ტ. 3, თბილისი. გამომცემლობა „ნეკერი“.

ირემაძე, თ. (2019). *შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფია.* სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად. თბილისი. გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“.

ირემაძე, თ. (2020). *ახალი დროის ქართული ფილოსოფია.* სისტემური მონახაზი მისი სპეციფიკის გასაგებად. თბილისი. გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“.

ირემაძე, თ. (2021). კავკასიური ფილოსოფია. *ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია.* წვდომა განხორციელდა: 29:06:2025.

კანტი, ი. (2020). *მარადიული მშვიდობისკენ. ფილოსოფიური მონახაზი.* გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო გიორგი თავაძემ. თბილისი. გამომცემლობა „აქტი“.

მაშავა, ბ. (2023). *თეოდორე აბუკურას ფილოსოფიური თეოლოგია,.* თბილისი. გამომცემლობა „ფავორიტი სტილი“.

მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1959). *დავით უძლეველი და დავით გარესჯელი. კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს. დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად.* თბილისი. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ნუცუბიძე, შ. (1958). *ქართული ფილოსოფიის ისტორია,* ტ. II. თბილისი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

რაფავა, მ. (1983). *ამონიოს ერმისისა და დავით უძლეველის მიმართებისათვის.* მნათობი, N 7, თბილისი. გამომცემლობა „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა“,

ჰეგელი, გ. ვ. ფრ. (1984). *ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია. გონის ფილოსოფია,* ნაწ. 3, თარგმანი გერმანულიდან ნ. ნათაძის, რედაქტ.: ნ. ჭავჭავაძე, თ. ბუაჩიძე, გ. ცინცაძე, თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

Arakelyan, Hrachik (1986). *Armenian Philosophical Thought in the Middle Ages*. Yerevan: YSU Press.

Emin, Joseph (1792). The Life and Adventures of Joseph Emin, an Armenian. Written in English by himself. London: Printed in the Year 1792.

Fornet-Betancourt, Raúl. Philosophical Presuppositions of Intercultural Dialogue, https://them.polylog.org/1/ffr-en.htm

Iremadze, T. (2016). The Pythagorean Doctrine in the Caucasus, in: Pythagorean Knowledge from the Ancient to the Modern World: Askesis, Religion, Sci-

ence, edited by A.-B. Renger and A. Stavru (Episteme in Bewegung. Beiträge zu einer transdisziplinären Wissensgeschichte, Bd. 4), Wiesbaden: Harrassowitz, 2016.

Kaltenbacher, W. (2014). Beyond the Cultural Turn: Intercultural Philosophy in its Historical Context, in: What is intercultural philosophy?, edited by William Sweet (Cultural Heritage and Contemporary Change. Series I. Culture and Values, Volume 44, General Editor - George F. McLean), Washington, D.C.: Council for Research in Values and Philosophy.

Sanjian, Avedis K. (1978). *The Armenian Church and Philosophical Discourse in the Caucasus*. Beirut: Catholicosate Press.

Sweet, W. (2014). The Project of Intercultural Philosophy, in: What is intercultural philosophy?, edited by William Sweet (Cultural Heritage and Contemporary Change Series I. Culture and Values, Volume 44, General Editor - George F. McLean), Washington, D.C.: Council for Research in Values and Philosophy,

Давид Анахт (1975). Сочинения. Сост., пер. с древнеарм., вступит. статья и примеч. С. С. Аревшатяна, Москва: издательство „Мысль“.

Аревшатян, С. С. (1975). *Давид Анахт и его роль в развитии древнеармянской философии.* См.: Давид Анахт Сочинения. Сост., пер. с древнеарм., вступит. статья и примеч. С. С. Аревшатяна, Москва: издательство „Мысль“.

Иоаннисян А. Р. (1989). Иосиф Эмин. второе переработанное издание. Ереван. https://www.vehi.net/istoriya/armenia/emin/00.html

Марр, Н (1909). Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI–XII века .. СПб., „Типография Императорской Академии Наук“.

Свасьян, К. А. *О конце истории философии* (Базель, 14 мая 2005 года), Credo. New Теоретический журнал, #4 2005. http://www.credonew.ru/credonew/04-05/1.htm

Чалоян, В. К. Хидашели, Ш. В. (1968). *Армения и Грузия.* История философии в СССР в пяти томах, т. 1, Москва: издательство „Наука“.

Lali Zakaradze

ON THE QUESTION OF THE HISTORICAL GROUNDING OF CAUCASIAN PHILOSOPHY

Abstract

The present study aims to offer a systematic analysis of the possibility of historically grounding Caucasian philosophy by defining and establishing its conceptual framework, methodology, contexts, and historical preconditions. To this end, we propose the definition of Caucasian philosophy as a philosophically meaningful topos, shaped by historical and cultural conditions. The study explores the formation and development of philosophical ideas in the Caucasus, identifies the specific features of national philosophical models in the region, outlines their commonali-

ties and differences, and in the process, reactivates forgotten philosophical ideas and tendencies.

Beyond its theoretical dimension, the question of the historical grounding of Caucasian philosophy holds multiple layers of relevance: (1) It resonates with the current global crisis of identity and the ongoing search for new forms of self-understanding. It relates to intellectual self-determination and the clarification of national, cultural, and philosophical identity. A philosophical reflection on historical roots can support the region's intellectual self-assertion and deepen its self-awareness.

(2) The political context of Caucasian philosophy is also crucial. It intersects with forms of thought, practices of power, vital cultural narratives, ideas of statehood, colonial and postcolonial discourses, and regional dynamics. Constructing the concept of Caucasian philosophy historically allows us to highlight the impact of philosophy on socio-political transformations. Contemporary discourse on these issues is of essential importance for peaceful coexistence in the region and opens up new avenues for future research.

The foundation of Caucasian philosophy is linked to both theoretical and institutional developments in the contemporary humanities. The paper stresses that the "birth" and systematic development of the concept of Caucasian philosophy is rooted in Georgia and the Georgian philosophical tradition. It is here that the idea gains historical and theoretical legitimacy and is formulated as a working hypothesis of Caucasian philosophy (T. Iremadze). The systematic analysis of Georgian medieval and early modern philosophy laid the groundwork for this idea and has been advanced by the research team of the Archive of the Caucasian Philosophy and Theology at the New Georgian University (Prof. W.R. Jeck, Prof. L. Zakaradze, and others). This is also essential for preserving and developing the intellectual traditions and institutional memory of the Caucasus.

The idea of Caucasian philosophy enters contemporary scholarly discourse through interdisciplinary dialogue, where history, theology, ethnology, and philosophy intersect to create new research horizons. The philosophical thought of the peoples of the Caucasus emerged under the influence of late antique and Byzantine philosophical doctrines, as well as Christian and Islamic traditions. Over time, it developed into an independent philosophical tradition through the reception and transformation of various philosophical currents.

At this stage of research, the historical grounding of Caucasian philosophy is primarily tied to the rich traditions of philosophical thought in Armenia and Georgia. Caucasian philosophy, in analyzing the origins of philosophical reflection in the region, identifies common foundations of thought, systematizes shared authors and issues, and reveals common platforms of philosophical discourse, as well as distinctive methods and themes. As such, Caucasian philosophy emerges as a form of intercultural philosophy - an intellectual space formed by the coexistence and synthesis of diverse cultural and philosophical traditions. This space is primarily rooted in Christian philosophical thinking and interpretative practices embedded in the language and consciousness of the region. The dialogue between distinct intellectual traditions developed into a hermeneutic practice that shaped

uniquely Caucasian forms of thought. Thus, Caucasian philosophy stands as a successful model of both Christian and intercultural philosophy.

The historical preconditions for Caucasian philosophy are most clearly expressed in the dialogue between Georgian and Armenian philosophy during the medieval and early modern periods. During this time, common authors, thematic concerns, and systematic philosophical problems characteristic of the region began to emerge. Examples of such authors include Pythagoras, Plato, Aristotle, and the Neoplatonic tradition—particularly Proclus, Christian Neoplatonism (Pseudo-Dionysius the Areopagite), Alexandrian Neoplatonism (Ammonius Hermiae, David the Invincible, and others), as well as Theodore Abu-Qurrah, Ioane Petritsi, and Anton Bagrationi.

Georgian-Armenian philosophical relations in the medieval and early modern periods provide the most solid foundation for the legitimacy of the concept of Caucasian philosophy. The historical roots of Caucasian philosophy are documented in Christian philosophical collaborations during the Middle Ages. This is clearly reflected in: (1) translations and commentaries from Georgian into Armenian during that period (e.g., the translation and interpretation of Proclus' Elements of Theology by Petritsi and its dynamics within Armenian Neoplatonism); (2) the scholarly and translational cooperation in early modern Georgian and Armenian philosophy, which fostered intellectual exchange and ecclesiastical educational reforms.

Anton Bagrationi's translational and seminary efforts aimed not only at revitalizing the intellectual culture of the Georgian Church but also at deepening intercultural dialogue. In this context, the School of Anton I became a systematic platform for philosophical and theological texts between Georgia and Armenia.

Anton consciously broke with the dogmatic boundaries of the intellectual climate of his time, developing a methodological and historical philosophical strategy that underlined the originality of his philosophical-theological system. His theoretical contributions positioned him as a central figure in the discourse of Caucasian philosophy and marked the beginning of a new perspective in the philosophical historiography of the region. Figures such as Petritsi, Albert the Great, Thomas Aquinas, Leibniz, and Christian Wolff—interpreted within a shared Caucasian intellectual space—provided fertile ground for original interpretations and the creative development of an independent philosophical tradition.

The article also outlines the future research potential of Caucasian philosophy. Studies in this field will facilitate the integration of local philosophical traditions into the broader narrative of global philosophical thought. Furthermore, they will lay a solid foundation for the further development of schools, disciplines, and subfields within contemporary Caucasian philosophy. Continued research on the reception and transformation of Caucasian philosophical traditions in European thought will also play a critical role in this process.

Keywords: Caucasian philosophy; Intercultural philosophy; A new category in the history of philosophy; historical foundation; historical precondition; Pan-Caucasian consciousness; Openness of culture and thought; Georgian-Armenian philosophical relations.